პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 183 (13577) | შაბათი, 13 აგვისტო, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის შვიდწლიანი გეგმის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და მუშაობაში მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის № 1 ტრესტი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1966 წ. 11 აგვისტო.

მოგილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს, ძვირფასო მეგობრებო!

სურათზე: ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის მოწინავე მშენე ბელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში: სპეცმშენის სამმართველოს უბნის უფროსი ვ. ვარდოსანიძე, სპეცმშენის სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ა. კარაბეტიანი, „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველოს უფროსი კ. უკლება, და სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი გ. ხაზარაძე, „მეტალურგმშენის“ სამმართველოს უფროსი გ. ფურავსკი და სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ა. კენჭოშვილი, „სინთეზმშენის“ სამმართველოს ზეინკალი მემონტაჟე ს. გოგოლაძე; მეორე რიგში: ბინათსამშენებლო კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი დ. ჯაფოშვილი, სარემონტო-მექანიკური ქარხნის ამწეების ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მერკულოვი, რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის საარმატურო საამქროს უფროსი ე. გუნთაშვილი, „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. დემეტრაშვილი, „ტრანსსპეცმშენის“ სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი გ. ხარგელია და სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი ი. ბაშელეიშვილი, ხის დამამუშავებელი კომბინატის სახერხი საამქროს უფროსი ვ. სინიაჩოვი, მეტალურგმშენის სამშენებლო უბნის უფროსი მ. პილიპენკო.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგოხიასი.

სპორტის ძალა

დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ქალაქში თუ სოფელად ზეიმი აღნიშნავენ ფიზკულტურელის დღეს. ამჟამად ყველასთვის ცნობილია, რომ სპორტის ძალა მის მასობრივობაშია. ამიტომაც არის, რომ სპორტსმენთა რიგები განუწყვეტლივ იზრდება. სასიამოვნოა ის ამბავი, რომ უკვე 1969 წელს ფიზკულტურელთა ოჯახში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა მილიონმა ფიზკულტურელმა, ჯერეს ფიზკულტურელთა არმიაში 40 მილიონზე მეტი ახალგაზრდა არის გაერთიანებული. სასიხარულოა აგრეთვე ის, რომ ამ დიდ არმიაში თითქმის 960 ათასზე მეტი კაცი საქართველოს წარმომადგენელია. ეს ციფრი ამას ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველ მეხუთე მოქალაქეს თავის საყვარელ ადგილად მიაჩნია სპორტული ბანდაჟი, „აუ“, ეწევა სპორტულ ტანვარჯიშს ჯანმრთელობის ჯგუფებში. მეორე თვისებაა დროის ტურისტულ ლაშქრობის ინდოვნებს.

სპორტი ისე არ განვითარდება, ინტერესს მოკლებული იქნება, თუ არ ეფიწყო შეჯიბრებანი. რაც უფრო მეტი მონაწილე გამოვა სტარტზე, მით უფრო მეტი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი გამოვლინდება.

როცა შეჯიბრებაზე ვლაპარაკობთ, მარტო დიდი მასშტაბის შეჯიბრებები რიგი უნდა ვიგულისხმოთ, რომლებსაც მნიშვნელოვანი სახსრები და საფინანსო ორგანიზაცია სჭირდება. ადამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საფუძველია საფუძველია შეჯიბრებები თვით ოლექტივებს შორის. ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ნაკლებად ეწყობა რეგიონალური და სარაიონთაშორისო ასპარეზობანი, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, განყოფილებათა ფიზკულტურელების ამხანაგური შეჯიბრებები.

მარშანდელ შეჯიბრებათა შედეგებმა ცხადყო, რომ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაუჯანსაღდა მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო საზოგადოებების ფიზკულტურის კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებას, რაიონული საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საერთოდ მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრობისათვის საქართველოს სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭო შვიდი წელია ზედიზედ ინარჩუნებს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი სპორტი კარგად არის განვითარებული და მუშაობის საუკეთესო მაგალითს ძღვნიან გურჯაანის, მახარაძის, ზუგდიდის, საგარეჯოს და სამტრედიის რაიონები.

მაგრამ აქვე გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ მთელ რიგ რაიონებში ყველაფერი ოდენ ნელა ვიძვრის. ფიზკულტურული ორგანიზაციებიდან ბევრ ადგილას

მაღალი ჯილდო, დიდი მოვალეობა



ამიერკავკასიის მეტალურგიული ტრესტის კოლექტივმა და სსრ კავშირის მონტაჟისა და სპეციალური სამუშაოების სამინისტროს სპეციალიზებულმა ორგანიზაციებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს საქართველოში მრეწველობის ახალი დარგების შესაქმნელად.

შედარებით მოკლე დროში შეიქმნა მეტალურგიული, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრია და სამშენებლო მასალების მრეწველობა.

თვისი არსებობის ათეული ასე დიდი ხნის მანძილზე ტრესტმა აიშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა ისეთი მძლავრი სამრეწველო ობიექტები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, აზოტოვანი სასუქების ქარხანა, სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, ცემენტის ქარხანა, მინერალური ნაწარმის ქარხანა, სახლთმშენებელი კომბინატი. ამასთან რეკონსტრუირებულ იქნა რუსთავის მექანიკური ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, ჭიათურის მარგანეცის აუზი და სხვ.

მშენებლობის მასშტაბზე უკეთესი წარმოდგენა რომ გვქონდეს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ქარხნებისა და მთლიანად სოციალისტური ქალაქის — რუსთავის მშენებლობისათვის შესრულდა 29,5 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები; 2,7 მილიონი კუბური მეტრი რკინაბეტონისა და ბეტონის სამუშაოები; დამონტაჟებულია 125 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები; გაყვანილია 285 კილომეტრი რკინიგზა; გაკეთებულია 190 კილომეტრი გზა; დამონტაჟებულია 185 ათასი ტონა დანადგარი — მოწყობილობა.

ქალაქი რუსთავი გადაიქცა ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მოსახლეობისათვის აშენებულია 1.270 სახლი, 16 სკოლა, 38 საბავშვო ბაღი და ბაგა, პოლიკლინიკები, საავადმყოფოები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, პოლის ქარხანა და მრავალი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. ქალაქი კეთილმოწყობილია და უზრუნველყოფილია კომუნალური მომსახურების ყველა სამუშაოებით.

მშენებელთა კოლექტივების ენერგიული შრომის შედეგად შეიქმნა ელექტრომრეწველობის ისეთი მძლავრი სანწარმოები, როგორიც არის პატონის სახელობის ელექტროშედუღების მოწყობილობების ქარხანა „თბილისელექტროსაწყო“, მიკროძრავას ქარხანა და სხვები.

ქალაქ თბილისში ტრესტმა მოამზადა ნატახტარის წყალგაყვანილობის რეკონსტრუქცია; აშენდა ბულაჩაურის მძლავრი წყალგაყვანილობა. ამ სამუშაოებმა მკვეთრად გაზარდა ქალაქ თბილისისა და რუსთავის მცხოვრებთა წყლით მომარაგება.

ტრესტის ძალებით აშენდა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ახალი კორპუსი, მეტალურგიული ტექნიკუმის შენობა, ზოოვეტერინარიული ინსტიტუტი. ამავითვე ვახდენთ სამხატვრო აკადემიის რეკონსტრუქციას, თბილისის განაპირა რაიონში ვაშენებთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალ კორპუსებს.

ზემდგომი ორგანოების დავალებით მნიშვნელოვანი სამუშაოები შეავასრულეთ კურორტ ბუჯნოსში. აქ აგაშენეთ სასლთმშენებელი ქარხანა, საწარმოო ბაზა, ენერგეტიკული მეურნეობა და მშენებელთათვის საცხოვრებელი სახლები.

ტრესტი აღჭურვილია მდიდარი მექანიზმებითა და მოწყობილობით. ამან ხელი შეგვიწყო 1965 წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მექანიზაციის დონე აგვეყვანა მიწის სამუშაოებში 92,4 პროცენტამდე, ტრანსპორტზე და ბეტონის ჩასხმებზე — 81,8 პროცენტამდე, ასაწყობი რკინაბეტონის მონტაჟზე — 96,4 პროცენტამდე და ასე შემდეგ.

ტრესტის კოლექტივი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სამშენებლო სამუშაოების გეგმას. მივმართოთ ციფრების ენას — 1959 წელს გეგმა შესრულდა 101,4 პროცენტით, 1960 წელს — 108,1 პროცენტით, 1961 წელს — 100,0 პროცენტით, 1962 წელს — 105,9 პროცენტით, 1963 წელს — 101,8 პროცენტით, 1964 წელს — 107 პროცენტით, 1965 წელს — 101,2 პროცენტით.

გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული აგრეთვე მიმდინარე წლის ნახევარი წლის დავალება.

მშენებლობებზე გაიზარდნენ ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა შესანიშნავი კადრები. სანიმუშოდ მუშაობს 47 კომუნისტური შრომის ბრიგადა. 3.200 კაცი იბრძვის კომუნისტური შრომის დამკვრელის სამაგალითო სახელის მოსახვეჭად.

დიდი ამოცანების წინაშე ვდგავართ ახალ ხუთწლედში. სიკეთლოფიკაციოდ უნდა გადავცეთ სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგი, თუჯსამსხმელო ლითონის კონსტრუქციების, პურის და სხვა ქარხნები. ამასთან უნდა უზრუნველყოთ მეტალურგიული, აზოტოვანი სასუქების და ცემენტის ქარხნების გაფართოება, დაახლოებით 200.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის აშენება და მრავალი სხვა.

ამიერკავკასიის მეტალურგიშენის ტრესტის კოლექტივი, პარტიისა და მთავრობის ჯილდოთი — ლენინის ორდენით აღჭურვილებული, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გაამართლოს თავისი შრომის ეხოდენ დიდი შეფასება და კვლავაც იბრძოლებს, რომ იყოს მოწინავე მშენებელთა რიგებში.

ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის ლენინის ორდენოსანი მეტალურგშენის № 1 ტრესტის მმართველი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ღამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლის დღესთან დაკავშირებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ღამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. **არსენიშვილს** ვლადიმერ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვარკვეილის მეგენეხეობის სამმართველოს მეფრინველეობის უფროს ინჟინერს.
2. **ახალთანს** ანტონ მელიტონის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.
3. **ახალთანს** ბიბეილ დიმიტრის-ძეს — „საქსოფლელექტრომშენის“ № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსს.
4. **ახტაბოვას** ნათელა ვლადიმერის ასულს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „სოიუზდორპროექტის“ ბრიგადის ხელმძღვანელს.
5. **ბალავაძეს** მაქსიმე კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ცენტრალური საბეტონე-კვლევითი სადგურის უფროსს.
6. **ბარნაბიშვილს** ივანეს ნიკოლოზის-ძეს — სახელმწიფო ინსტიტუტის „საქსახპროექტის“ პროექტის მთავარ ინჟინერს.
7. **ბარამიძეს** გალაქტიონ ნოეს-ძეს — ლენინგრადის საკონსულტაციო-მეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარეს.
8. **ბალაშვილს** შოთა არონის-ძეს — ქ. რუსთავის მთავარ არქიტექტორს.
9. **ბეინაკაროს** ნიკოლოზ ედუარდის-ძეს — „საქსოფლელექტრომშენის“ სპეციალიზირებული ტრესტის განყოფილების უფროსს.
10. **ბოკერიას** შალვა ივანეს-ძეს — ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ განყოფილების უფროსს.
11. **ბულიას** ანდრია თამარის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ჰიცუნდმშენის“ მმართველს.
12. **გოგელიას** ივანე ვლასის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მთავარ ინჟინერს.
13. **გუდაძეს** გრიგოლ გიორგის-ძეს — ტრესტ „ინჟმშენის“ № 1 საწარმოო დანესებულებათა კომბინატის დირექტორს.
14. **დავიდოვს** დავით კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გაგრის № 8 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსს.
15. **დათიაშვილს** კლიმენტი ვლერიანის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.
16. **დახუნდარიძეს** არდალიონ ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსს.
17. **დეკანოსიძეს** ნოე დომენტის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 25 უბნის უფროსს.
18. **ერისთავს** ნიკოლოზ დავითის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.
19. **ვართანოვს** ვარანან აკოფის-ძეს — „მთავართბილმშენის“ უფროს ინჟინერს.
20. **ზოდელავას** მამია სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილეს.
21. **თუშიშვილს** გიორგი ალბრამის-ძეს — „მთავართბილმშენის“ განყოფილების უფროსს.
22. **კანტარჯიანს** გრიგოლ ტიგრანის-ძეს — სახელმწიფო ინსტიტუტის „საქსახპროექტის“ პროექტის მთავარ ინჟინერს.
23. **კლდიაშვილს** გიორგი ლუარსაბის-ძეს — წყალტუბოს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მთავარ ინჟინერს.
24. **ლებედევს** ალექსანდრე ალექსის-ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქგიპროსელმშენის“ განყოფილების მთავარ სპეციალისტს.
25. **მახათაძეს** სიმონ ანდრიას-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსს.
26. **მგალობლიშვილს** ბიძინა ნიკოლოზის-ძეს — ქ. თბილისის საშენმასალათა კომბინატის დირექტორის მოადგილეს.
27. **მიქელაძეს** გიორგი ბაკურის-ძეს — „საქსახწყალპროექტის“ მთავარ ინჟინერს.
28. **რევიშვილს** ნიკოლოზ ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს უფროს ინჟინერს.
29. **სიბაშვილს** კონდრატ ივანეს-ძეს — საპროექტო ინსტიტუტის „გრუზგიპროსელსაშენის“ დირექტორს.
30. **საგინაშვილს** ალექსანდრე პეტრეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 9 სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.
31. **სანაიას** ბაგრატ ანტონის-ძეს — „საქსოფლელექტრომშენის“ № 8 სპეციალიზირებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსს.
32. **სულაძეს** იპოლიტე დავითის-ძეს — „საქსახწყალპროექტის“ ტიპიური პროექტის სექტორის უფროსს.
33. **ტრაყაშვილს** ლავრენტი გიორგის-ძეს — ტრესტ „საქმიდროელექტრომშენის“ თბილისის „გრესის“ მშენებლობის მთავარი ინჟინერის მოადგილეს.
34. **ურუშაძეს** მირიან კონსტანტინეს-ძეს — პენსიონერს.
35. **ქადაგიძეს** ანდრია ილიას-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მარნეულის № 2 მოძრავი მექანიზირებული კოლონის უფროსს.
36. **ქავთარაძეს** ლევან გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქართველოს მერმალინადი“ მთავარ ინჟინერს.
37. **ქართველიშვილს** ვასილ იოსების-ძეს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროს სამუშაოთა მწარმოებელს.
38. **ღლონტიძეს** ვარლამ ვასილის-ძეს — ტრესტ „საქმიდროელექტრომშენის“ რაიონულ ინჟინერს.
39. **ჩიჯავაძეს** გრიგოლ იასონის-ძეს — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორს.
40. **წვერავას** ალექსანდრე ერასტის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის საწარმოო დაწესებულებათა კომბინატის დირექტორს.
41. **ჭაიას** ნიკოლოზ ნიკოფორეს-ძეს — სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო სათეატრო-ტექტორო მშენებლობის ინსპექციის უფროსს.
42. **ჭლიკაძეს** ომარ ავთანდილის-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეგობსტნეობათაშორისო ტრესტის „ინტერსოფლეკტროსეტის“ № 5 სახელოსნოს მთავარ ინჟინერს.
44. **ხალატიანს** ოგანეს იოსების-ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „თბილმიდროპროექტის“ სექტორის უფროსს.
45. **ხომერიკს** გრიგოლ პეტრეს-ძეს — სამშენებლო მასალების სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.
46. **ხოფერიას** ალექსანდრე ივლიანეს-ძეს — ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ მთავარ ტექნიკოსს.
47. **ჯაფარიშვილს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს უფროს ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი, 1966 წლის 12 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლის დღესთან დაკავშირებით, მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბახბახიშვილი** ხალიკო გიორგის-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მეექსკავატორე.
2. **გეთიაშვილი** ლევან ნიკოლოზის-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სატუშაოთა მწარმოებელი.
3. **გოტაძე** ივანე ალექსანდრეს-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
4. **გრემელაშვილი** ნასყიდა ალექსის-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს განყოფილების უფროსი.
5. **დონდუა** ვასილ ნიკოს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი.
6. **თუშიშვილი** ივანე გიორგის-ძე — „ბოლნისგირაბმშენის“ სამმართველოს მეგბეტონე.
7. **ფანიერავი** ისიდორე პავლეს-ძე — „ენგურჰესის“ გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.
8. **ცხურბაევი** აკიმ გაგის-ძე „თბილგირაბმშენის“ სამმართველოს მეგბეტონე.
9. **ხარატაშვილი** ვახტანგ ალექსანდრეს-ძე — ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ ლითონგადამამუშავებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადირი.
10. **ჯალაღანია** ივანანდილ კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ტყაბარელმატაბშენის“ სამშენებლო სამმართველოს ქვის მთლელი.
11. **ჯანაშვილი** გიორგი ვასილის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის შემდეგებელი.
12. **ჯუღელი** ვალიკო ილიას-ძე — „თბილგირაბმშენის“ სამმართველოს გამყვანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი, 1966 წლის 12 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობაზე ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბახბახიშვილი** ხალიკო გიორგის-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მეექსკავატორე.
2. **გეთიაშვილი** ლევან ნიკოლოზის-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სატუშაოთა მწარმოებელი.
3. **გოტაძე** ივანე ალექსანდრეს-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
4. **გრემელაშვილი** ნასყიდა ალექსის-ძე — № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს განყოფილების უფროსი.
5. **დონდუა** ვასილ ნიკოს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი.
6. **თუშიშვილი** ივანე გიორგის-ძე — „ბოლნისგირაბმშენის“ სამმართველოს მეგბეტონე.
7. **ილიაშვილი** ალბერტ ილიას-ძე — „ენგურჰესის“ გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი.
8. **კიკანიძეშვილი** ტიტე სამსონის-ძე — № 5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი.
9. **ლობკო** პეტრე ექვთიმეს-ძე — № 2 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მექანიკოსი.
10. **სტეფნაძე** ივანე სოლომონის-ძე — № 2 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
11. **ცერცვაძე** დიმიტრი ონისიმეს-ძე — საგზაო-სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი.
12. **ხასაია** გრიგოლ რაჟდენის-ძე — № 3 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი, 1966 წლის 12 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის ღამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზიკულტურელის დღესთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის ღამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. **ბერაძეს** გიორგი ბესარიონის-ძეს — პენსიონერს,
2. **ბიბილურს** კონსტანტინე აბრამის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლის განყოფილების გამგეს.
3. **დიანჩოვს** ბორის მიხეილის-ძეს — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელს.
4. **კოპალაძეს** ნუგზარ კირილეს-ძეს — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის განყოფილების გამგის მოადგილეს.
5. **მაკავარიანს** დავით ალექსანდრეს-ძეს — ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
6. **ფეოდოროვს** ანატოლი პეტრეს-ძეს — თბილისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის უფროსი მწვრთნელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი, 1966 წლის 12 აგვისტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კაბინეტალური მშენებლობის შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მიმოვლებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 11 აგვისტოს ბრძანებულებებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის მუშაკთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 1.525 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 4.276, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 10.468, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 8.149 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 8.156 კაცი. (საქდესი).

საბჭოთა ლაინერი „ტუ-114“ ტოკიოში

ტოკიო, 11 აგვისტო. (საქდეს). ათი საათი და ორმოცდაათი წუთი დასჭირდა საბჭოთა ტურბოხრახნიან ლაინერ „ტუ-114“-ს მოსკოვიდან ტოკიოში გადასაფრენად.

ტოკიოს დროით დაახლოებით 12 საათზე, ოთხმოტორიანი თვითმფრინავი მშვიდობით დაეშვა იაპონიის დედაქალაქის ხანდაზმულ აეროდრომზე.

ფრენა მიმდინარეობდა ზუსტად წინასწარ გათვალისწინებული გრაფიკით, უთხრა საქდესის კორესპონდენტს საბჭოთა ავიაციის სპეციალისტთა ჯგუფის მეთაურმა, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს ტექნიკური საქმიანოვლების უფროსმა ნ. ვ. ზკლიაროვმა. დღევანდელი რეისის მიზანი იყო გამოგვეკვლია მოსკოვ-ტოკიოს ხაზზე დედამიწაზე დაუშვებელი ფრენის პირობები. მალე ამ ხაზზე ფრენა განხორციელდება საბჭოთა კავშირ-იაპონიის საავიაციო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელსაც მიმდინარე წლის ივნვარში მოაწერეს ხელი. საბჭოთა კავშირის ტექნიკური ექსპერტები იაპონელ კოლეგებთან თანამშრომლობით დეტალურად შეისწავლიან მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე გრძელი ავიახაზის ექსპლოატაციის პირობებს. მოსკოვ-ტოკიოს ტრასა ბევრად ამცირებს ევროპიდან იაპონიაში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა ლაინერის შესახვედრად ხანდაზმულ აეროდრომზე შეიკრიბნენ ავიაკომპანია „ჯაპან ეარ ლაინსის“ წარმომადგენლები, იაპონელი მფრინავები, რომლებიც ამ დროს თავისუფალი იყვნენ, საავიაციო ტექნიკოსები და აეროპორტის მომსახურე პერსონალი. მაგ ბულთბილად მიეულიეს საბჭოთა წარმომადგენლებს წარმატებით ფრენა.

18 აგვისტოს „ტუ-114“ უკან დაბრუნდება.

ინგლისელ ბანკირთა ინდოეთიზიისა და მალაიზიის შეთანხმებას

ლონდონი, 11 აგვისტო. (საქდეს), ინდოეთიზიამ და მალაიზიამ ღღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ორი ოფიციალურად შეწყვეტეს ორი ქვეყნის სამი წლისა და მეტი ხნის ურთიერთწინააღმდეგობის, იუწყება რეიტერის სააგენტოს ჯაკარტელი კორესპონდენტი.

შეთანხმებაში, რომელსაც ხელი მოაწერეს ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ადამ მალიქმა და მალაიზიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ აბდულ რაზაკმა, ნათქვამია:

1. მალაიზიის მთავრობა დათანხმდა შესაძლებლობა მისცეს სარავაკის და საბაჰის ხალხს, რაც შეიძლება მალე დაადასტუროს თვისი მდგომარეობა მალაიზიის ფედერაციაში დამოუკიდებელი და დემოკრატიული საყოველთაო არჩევნების საშუალებით.
2. დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილი იქნება დაუყოვნებლივ, ხოლო დიპლომატიური წარმომადგენლობანი შეიქმნება პირველი შესაძლებლობისთანავე.
3. ორივე მთავრობა დათანხმდა შეწყვეტოს საომარი მოქმედება.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 12 აგვისტო. (საქდეს). 22 წელი გავიდა ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან და მათს სამსახურში მყოფი პეტენის რეჟიმისაგან საფრანგეთის გათავისუფლების დღიდან, ნათქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ აღნიშნა, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღეს მეოლი მსოფლიოს ხალხებმა ანტიფაშისტურ ბრძოლაში და ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის წვლილს ფაშისტური ბრბოების განადგურების საქმეში, ევროპის ხალხთა განთავისუფლებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საქმეში.

წინაადმდეგობის პირიდან ფაქტები და გარეკვეულები, აღნიშნულია განცხადებაში, შეიძლება სასარგებლო იყოს იმ ბრძოლისათვის, რომელიც ღღეს წარმოებს მშვიდობისა და დემოკრატიის დასაცავად.

წინააღმდეგობის ეროვნული სახის პროგრამა, რომლის გარშემო გაერთიანდნენ სხვადასხვა შეხედულების ადამიანები, აცხადებს საფრანგეთის კომპარტია, ითვალისწინებდა მოწინააღმდეგე დემოკრატიის შექმნას საფრანგეთისათვის დიდი საწარმოო სიძლიერე

სამშობლოს მოამღერალი, დიდი მამულიშვილი

გბარდაიცვალა გიორგი ლეონიძე — მწვავე გულისტკივილს და განუზომელ მწუხარებას მოკვლის ეს სიტყვები მილიონობით ადამიანს საქართველოში, მთელ ჩვენს თვალუწვდენელ საბჭოთა სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმა, — ყველგან, სადაც სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის ნათელი იდეალებით, უმაღლესი ადამიანური გრძნობებითა და მისწრაფებებით შთაგონებულ ბეშმარიტ პოეზიას.

ქართულმა მწერლობამ, მთელმა ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ, მთელმა მრავალეროვნულმა საბჭოთა ლიტერატურამ უმძიმესი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ჩვენგან წავიდა საბჭოთა ეპოქის დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ლექსის დიდებული ოსტატი, სიტყვის შთაგონებული ხელოვანი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უმღეროდა და ადიდებდა ჩვენი სამშობლოს აღორძინებისა და განახლების დიად ეპოქას, მგზნებარე სიყვარულით აცოცხლებდა და წარმოსახავდა ჩვენი ქვეყნის სწორუპოვრად გმირულ წარსულს, დაუცხრომლად ხატავდა შშობელი ქვეყნის დიდებული ბუნების მომხიბვლელ სურათებს.

თავისი უმკნობი ლირიკული შედევრებით, პოეტური ეპოსის შესანიშნავი ნიმუშებით, მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილი მეცნიერული გამოკვლევებით, — ყველაფრით, რასაც იგი ქმნიდა და რითაც იგი ამდიდრებდა ჩვენი ქვეყნის სულიერ ღირებულებათა საგანძურს, ჩვენი ქვეყნის პოეტი ნერგავდა და ადვივებდა ხალხის გულში სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის უწმიდეს გრძნობას, მაღალ ჰუმანისტურ მისწრაფებებს, თანამედროვეობის ნათელი იდეალების უძლეველობის რწმენას, მთდამი განუყრელ ერთგულებას. მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით, აზროვნებით, მოღვაწეობით გიორგი ლეონიძემ მოიხვეჭა სრული უფლება ეთქვა:

დაბდგარა ჩემი სიმღერის ჟერი,
ეს ყვავილები მე დავგაბოვე;
მე გარ სამშობლოს ჩექუორნის
მგზელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე.
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ
მნახველი,
სამშობლო ჩემი გულის ფეთქვა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

სამშობლოს ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, მისი ძლიერებისა და უკვდავებისათვის ფეთქავდა პოეტის დიდი მხურვალე გული და ამ მგზნებარე გულისძგერის გამოხატულებას შეადგენდა მისი პოეტური შემოქმედება.

თავისი მართლაც და გოლიათური შემოქმედებითი ძალების სრული სიმწიფისა და დავაკაცების ასაკში წავიდა ჩვენგან გიორგი ლეონიძე და შრომმოვალობას დაუტოვა ამოუწურავად მდიდარი, ეშმარიტად უკვდავი პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს დიდი ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს და ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს ქართულ პოეზიას მრავალეროვნულ საბჭოთა პოეტურ კულტურაში და, მაზასადამე, თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში.

გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე დაიბადა 1899 წლის 27 დეკემბერს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უმდიდრეს კუთხეში — კახეთში, ახლანდელი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. მისი მამა სახალხო მასწავლებელი იყო და აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართული კულტურის მოღვაწეებთან, განსაკუთრებით კი ვაჟა-ფშაველასთან. ასეთ გარემოცვაში იღვიძებდა და ყალიბდებოდა მომავალი პოეტის ჭაბუკური შეგნება.

ჯერ კიდევ 11.12 წლის ყმაწვილი იგი ლექსებსა და ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის წერილებს აქვეყნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, სწორედ ამ წლებში დიდი შემოქმედებითი მისწრაფებით აღფრთოვანებული ყმაწვილის უთქვენი ნიჭიერება შენიშნა და დააფასა ვაჟა-ფშაველამ, ლექსი მიუძღვნა მას, რომლითაც ნათელი მომავალი უსურვა და უწინასწარმეტყველა, დალოცა მისი შემდგომი სამწერლო გზა.

ასეთი ადარებით ფრთაგაშლილი ჭაბუკი თბილისის სახელოვანი სემინარიაში და შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის წლებში აგრძელებდა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას, ლექსებსა და წერილებს აქვეყნებდა იმდროინდელ ლიტერატურულ პრესაში და თვითონაც გამოსცა ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახი „საფირონი", რომელის თანამშრომლებადაც მიიწვია რევოლუციამდელი ქართული მწერლობის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი. თავის ადრინდელ პოეტურ შემოქმედებაში გ. ლეონიძე ქართული კლასიკური მწერლობის პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციების ერთგულ მემდეგად გამოდიოდა. თავის ჭაბუკურ ლექსებში იგი გამოხატავდა ცხოვრების გარდაქმნასა და განახლებაზე, ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლებაზე კეთილშობილური ოცნებას.

მაგრამ ახალგაზრდა პოეტის მაძიებელი ბუნება ვერ ეგუებოდა იმ ეპიგონური ტენდენციებს, რომლებიც გაბატონებული იყო ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ქართულ პოეზიაში. ჭაბუკი პოეტი მხატვრული შემოქმედების ახალებურ გზებს ეძებდა. სწორედ ამ მისწრაფებებმა დააახლოვა გ. ლეონიძე სიმბოლისტურ-პოეტურ სკოლასთან — „ცისფერყანწელებთან", რომელიც სწორედ რევოლუციის წინა წლებში გამოვიდა ქართული მწერლობის სარბიელზე დიდი ნოვატორული პრეტენზიებით,

წლების განმავლობაში გ. ლეონიძე თანამშრომლობდა „ცისფერყანწელთა" ბეჭდვით ორგანოებში და მონაწილეობდა ამ სამწერლო გაერთიანების მთელ საქმიანობაში. მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო, რომ ახალგაზრდა პოეტს სიცოცხლესმოყვარეობრივი მსოფლშეგრძნებისათვის, შშობლიური მწერლობის კლასიკურ ტრადიციებთან და ხალხური პოეზიის საუნჯესთან მისი სისხლხორცეული კავშირისათვის არ შეიძლებოდა ორგანული და ხანგრძლივი ყოფილიყო დეკადენტობის მაცდუნებელი გატაცებანი.

უკვე იმ წლებში გ. ლეონიძის პოეზიაში მძლავრად იჩენდა თავს სინამდვილის ფხიზლად და ჭანსაღად აღქმის მისწრაფება, ნათელი და მზიური სალებავები, თანამედროვეობის სუნთქვა, სიცოცხლესმოყვარეობის გამახვილებული გრძნობა, ეროვნული პოეტური ტრადიციებისადმი შეგნებული ერთგულება. პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ამ ძვირფასმა თვისებებმა სრული გამოვლინება და შეუზღუდავი განვითარება ჰპოვეს უკვე საბჭოთა ყოფილების წლებში, როცა გ. ლეონიძემ



ერთბაშად მოიპოვა თვალსაჩინო ადგილი მშობელი ქვეყნის განახლებული ცხოვრებისა და ახალი ეროვნული კულტურის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე დღეებში გ. ლეონიძე მუშაობას იწყებს განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტგანათლების სამმართველოში, შემდეგ მონაწილეობს პირველი ქართული წითელარმიელი გაზეთისა და ყურნალების „გრდემლისა" და „დროშის" დაარსებაში. იგი აარსებს და რედაქტორობს ლიტერატურულ გაზეთს „ბახტრიონს". ასე იწყება მისი დიდი და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართული საბჭოთა კულტურის სარბიელზე. წლების მანძილზე მისი ეს მოღვაწეობა სულ უფრო ფართო მასშტაბებსა და გაბაკენს იძენდა. 30-იანი წლების დამლევს მისი ინიციატივით არსდება საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა თითქმის 20 წლის განმავლობაში. შემდეგ მისივე ინიციატივით შეიქმნა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, დაარსდა ალმანახი „ლიტერატურული მემკვიდრეობა", რომელსაც იგი მრავალი წლის განმავლობაში რედაქტორობდა.

ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიის მთელ მანძილზე გ. ლეონიძე იყო ჩვენი საამწერლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მუდმივი აქტიური მონაწილე. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მწერალთა ყველა რეპუბლიკური და საკავშირო ყრილობის, პლენუმებისა და თათბირების მონაწილე, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

გ. ლეონიძე მშვიდობის მოამბრეთა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. როგორც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, იგი მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე, დიდი გატაცებით ემსახურებოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს. იგი როგორც საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის გამოჩენილი და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი წარმომადგენელი ხშირად მოგზაურობდა უცხოეთის ქვეყნებში და დაუღალავად იღვწოდა საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურის საერთაშორისო კონტაქტების განმტკიცებისათვის. გ. ლეონიძე რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს დელეგაციის — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ამ მრავალმხრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, დიდ პოეტურ შემოქმედებას გ. ლეონიძე ორგანულად ახამებდა ფრიად ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ქართული კლასიკური მწერლობის კვლევის სფეროში. მის კალამს ეკუთვნის დიდი ერუდიციითა და ნამდვილი პატრიოტული მგზნებარებით დაწერილი შესანიშნავი გამოკვლევები, რომლებშიც მონოგრაფიულად არის შესწავლილი და გაშუქებული დიდი ქართველი კლასიკოსების სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, საიათ-ნოვას, ილიას, მაჩაბლის, გენიალური მხატვრის ფიროსმანის და სხვათა ცხოვრება და შემოქმედება. მრავალი წერილი და გამოკვლევა მიეძღვნა გ. ლეონიძემ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მოამე ხალხების კულტურასთან ქართული კულტურის ურთიერთობის პრობლემებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა ნამდვილი წევრი, იგი მრავალი წლის განმავლობაში სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე სათავეში ედგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს და ღირსეულად მეთაურობდა ლიტერატურათმცოდნეობრივი აზრის განვითარებას საქართველოში.

ესოდენ განუზომლად მრავალფეროვანი და ნაყოფიერია გ. ლეონიძის მოღვაწეობა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურული მშენებლობის სარბიელზე. მაგრამ ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, რაც მან დატოვა საშობლოსა და შთამომავლობას, ეს არის მისი დიდი პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენი საუკუნის მხატვრული კულტურის ნამდვილ მშვენებასა და სიამაყეს შეადგენს.

გ. ლეონიძე ჩვენი ეპოქის პოეტური კულტურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატი, მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი აღიარებული უფუძემდებელი, ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების ერთ-ერთი შემქმნელი და დამამკვიდრებელია. გ. ლეონიძის შემოქმედება მიეკუთვნება თანამედროვე ქართული პოეზიის ისეთ დიდ მონაპოვართა რიცხვს, რომლებიც მაღლდებიან ჩვენი დიდებული კლასიკური მწერლობის უმ-

ალესეს მწვერვალთა დონემდე და ნამდვილ საკავშირო და საკაცობრიო ყურას იძენენ.

გ. ლეონიძის სახით ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი ჰპოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩაინდულმა ქედუხრელობამ და სამყაროს ფილოსოფიურმა აღქმამ, ილია ჭავჭავაძის ყოვლისმომცველმა პატრიოტულმა მგზნებარებამ, აკაკი წერეთლის პოეზიის მაღალმა ხალხურობამ, ლექსის მომხიბვლელმა სინათლემ, სიწრფელემ, კეთილმოვანებამ, ვაჟა-ფშაველას არწივისებურმა სულისკვეთებამ. როგორც ქართული პოეზიის ამ უკვდავმა კოლოფენებმა, გ. ლეონიძემაც განუყოფლად დაუკავშირა თავისი შემოქმედება ხალხის ცხოვრებას, მის უმაღლეს მისწრაფებებს, ეპოქის მოთხოვნებს, თანამედროვეობის დიად მიზნებსა და ამოცანებს. თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა გ. ლეონიძის პოეტური ბუნების საუკეთესო და უპირველესი ღირსებაა.

მე მაერეოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება.
დავინახე, მიმბა როგორ გაეპო
საქართველოს საყდრული მეუფეროვა!
ლეონიძე! ამ დღეებს უდარეგე,
შენ თუ გაძლეს, შენივ სიტყვის
იმედით...
საოცნოვას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენილა ჭიანურის სიმები.

ჩვენი დიდი დროების სადარაკოზე თავგანწირულად დგომა, ეპოქის ნათელი იდეალებისადმი რაინდული ერთგულება შეადგენდა გ. ლეონიძის ესთეტიკური მრწამსის საფუძველს. იგი ეძიებდა და პოულობდა კიდეც ჩვენი მდელვარე საუკუნის მაჯისცემასთან თანხმოვან ბგერებსა და ხაღებავებს. აქედან წარმოდგებოდა მისი ლექსის მაუორული მუსიკა, ვაჟაცური ალმაზნები ელვარა.

პოეტური კულტურის დიდმა ნოვატორმა, მან მრავალი საკუთარი მიგნებითა და აღმოჩენით გამდიდრა ქართული პოეზიის გამომსახველობითი საშუალებების არსენალი. მაგრამ სიახლის უაღრესად გაბედული ძაძიებენი არასოდეს არ დაშორებია კლასიკური ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზს.

ჩვენი ეპოქის ქართველ პოეტთა შორის არავის ისე ღრმად და გამჭანაყოფიერებლად არ შეუსისხლხორცებია ეროვნული პოეტური ფოლკლორის მთელი სიმდიდრე, როგორც გიორგი ლეონიძეს. აქედან გამომდინარეობს მისი ჯადოქრული ძალა ქართული ენის უღრმეს წიაღში წვდომისა, ქართული სიტყვის ყველა გამომსახველობითი ალრობრივი და მუსიკალური ნიუანსის დაუფლებისა. აქედანვე მომდინარეობს გ. ლეონიძის პოეზიის ჩვეთრად გამოვლინებული, განუმეორებელი ეროვნული ელფერი, რაც კი არ ანელებს, არამედ, პირიქით, ზრდის და ამძლიერებს მისი შემოქმედების უნივერსალურ ზოგადკაცობრიულ მნიშვნელობას.

გ. ლეონიძის შემოქმედება საუკეთესო ნიმუშია პოეზიის მაღალი ხალხურობისა. ხალხის უმაღლეს მიზნებსა და მისწრაფებებს, მის ნათელ სბრძოლო იდეალებსადმი რაინდული ერთგულება შეადგენდა გ. ლეონიძის ესთეტიკური მრწამსის საფუძველს. იგი ეძიებდა და პოულობდა კიდეც ჩვენი მდელვარე საუკუნის მაჯისცემასთან თანხმოვან ბგერებსა და ხაღებავებს. აქედან წარმოდგებოდა მისი ლექსის მაუორული მუსიკა, ვაჟაცური ალმაზნები ელვარა.

პოეტური კულტურის დიდმა ნოვატორმა, მან მრავალი საკუთარი მიგნებითა და აღმოჩენით გამდიდრა ქართული პოეზიის გამომსახველობითი საშუალებების არსენალი. მაგრამ სიახლის უაღრესად გაბედულ ძაძიებენი არასოდეს არ დაშორებია კლასიკური ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზს.

ჩვენი ეპოქის ქართველ პოეტთა შორის არავის ისე ღრმად და გამჭანაყოფიერებლად არ შეუსისხლხორცებია ეროვნული პოეტური ფოლკლორის მთელი სიმდიდრე, როგორც გიორგი ლეონიძეს. აქედან გამომდინარეობს მისი ჯადოქრული ძალა ქართული ენის უღრმეს წიაღში წვდომისა, ქართული სიტყვის ყველა გამომსახველობითი ალრობრივი და მუსიკალური ნიუანსის დაუფლებისა. აქედანვე მომდინარეობს გ. ლეონიძის პოეზიის ჩვეთრად გამოვლინებული, განუმეორებელი ეროვნული ელფერი, რაც კი არ ანელებს, არამედ, პირიქით, ზრდის და ამძლიერებს მისი შემოქმედების უნივერსალურ ზოგადკაცობრიულ მნიშვნელობას.

გ. ლეონიძის შემოქმედება საუკეთესო ნიმუშია პოეზიის მაღალი ხალხურობისა. ხალხის უმაღლეს მიზნებსა და მისწრაფებებს, მის ნათელ სბრძოლო იდეალებსადმი რაინდული ერთგულება შეადგენდა გ. ლეონიძის ესთეტიკური მრწამსის საფუძველს. იგი ეძიებდა და პოულობდა კიდეც ჩვენი მდელვარე საუკუნის მაჯისცემასთან თანხმოვან ბგერებსა და ხაღებავებს. აქედან წარმოდგებოდა მისი ლექსის მაუორული მუსიკა, ვაჟაცური ალმაზნები ელვარა.

ეს ოდენ განუზომლად მრავალფეროვანი და ნაყოფიერია გ. ლეონიძის მოღვაწეობა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურული მშენებლობის სარბიელზე. მაგრამ ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, რაც მან დატოვა საშობლოსა და შთამომავლობას, ეს არის მისი დიდი პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენი საუკუნის მხატვრული კულტურის ნამდვილ მშვენებასა და სიამაყეს შეადგენს.

გ. ლეონიძე ჩვენი ეპოქის პოეტური კულტურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატი, მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი აღიარებული უფუძემდებელი, ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების ერთ-ერთი შემქმნელი და დამამკვიდრებელია. გ. ლეონიძის შემოქმედება მიეკუთვნება თანამედროვე ქართული პოეზიის ისეთ დიდ მონაპოვართა რიცხვს, რომლებიც მაღლდებიან ჩვენი დიდებული კლასიკური მწერლობის უმ-

ალესეს მწვერვალთა დონემდე და ნამდვილ საკავშირო და საკაცობრიო ყურას იძენენ.

ეს ოდენ განუზომლად მრავალფეროვანი და ნაყოფიერია გ. ლეონიძის მოღვაწეობა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურული მშენებლობის სარბიელზე. მაგრამ ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, რაც მან დატოვა საშობლოსა და შთამომავლობას, ეს არის მისი დიდი პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენი საუკუნის მხატვრული კულტურის ნამდვილ მშვენებასა და სიამაყეს შეადგენს

საბჭოთა სპორტის დღესასწაული

ლეონიდ ნიკონოვი,
სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური სბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ფიზკულტურელ-ის საკავშირო დღე მილიონობით საბჭოთა ადამიანის დღესასწაულია. კარგი ტრადიციაა — ამ დღეს შევაჯამოთ წარსული მიღწევები, განვსაზღვროთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის — აღზრდისა და ჯანმრთელობის განმტკიცების ამ მძლავრი ხაშუალების შემდგომი განვითარების ამოცანები.

უკანასკნელ შვიდ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა ფიზკულტურელთა რიგების ზრდისათვის. ისინი ახლა 50 მილიონზე მეტი არიან. ამავე წლებში 32 მილიონი ქალიშვილი და ჭაბუკი გახდა თანრიგოსანი სპორტსმენი, მათგან 508 ათასმა შეასრულა პირველი თანრიგის მაღალი ნორმატივები.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებმა — სპორტსმენთა ყველაზე მასობრივმა შეჯიბრებებმა — თვალნათლივ დაგვანახვა ოსტატობის შემდგომი ზრდა. მარტო უკანასკნელ წელს მომზადებულ იქნა სპორტის ექვსი ათასზე მეტი ოსტატი. საბჭოთა სპორტსმენების სპორტულ-ტექნიკური მიღწევების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამჟამად ყოველი მესამე საკავშირო რეკორდი ამავე დროს მსოფლიო რეკორდიც არის, მაშინ როცა ჯერ კიდევ თრმეტი წლის წინათ ყოველი ათი საკავშირო მიღწევიდან მხოლოდ ერთი ალემატებოდა მსოფლიო რეკორდს.

ეს ციფრები თვალნათლივ გვიჩვენებენ მნიშვნელოვან პროგრესს საბჭოთა სპორტის მასობრიობისა და სპორტული ოსტატობის — ადამიანის ფიზიკური სრულყოფის ერთიანი პროცესის ამ ორი მხარის განვითარების დარგში.

ძლევამოსილად დამთავრდა ჩვენი ბოქიოსტების, მოჭიდავეების, მოფარიკაკეების გამოსვლები. მძლეოსნებმა გაიმარჯვეს ევროპის ზამთრის პირველობაში და ინგლისთან მატჩში. შესამჩნევად გაუმჯობესეს მიღწევები მცურავებმა, რომლებმაც მარტო უკანასკნელი თვეების განმავლობაში სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს რამდენიმე რეკორდი დაამყარეს. შედარებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი ფეხბურთელებიც შეჯიბრებაში მსოფლიოს პირველობაზე — ისინი დედამიწის უძლიერესი გუნდების ოთხეულში შევიდნენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა სპორტსმენების მძლავრ რაზმს ხათავეში უდგანან ისინი, ვინც უნარიანად ახამებს სპორტისადმი ერთგულებას შრომისა და სწავლისადმი ერთგულებასთან. ესენი არიან ვეტერანები და ახალგაზრდობა, სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და პროფესიის ადამიანები: სსრ კავშირის ნაკრების მეკარე ლევ იაშინი, მოჭიდავეები ალექსანდრე ივანისაკი და ალექსანდრე მედვედი, მოფარიკავე ბერმან სვეშნიკოვი, მორეკლები ძმები მაიოროვები და ვიაჩესლავ სტარშინოვი, ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, მცურავი ბალნა პროზუმენშიკოვა, ფიგურისტები ლიუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი, ძმლეოსანი ბენადი გლიზნეცოვი და როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ ცნობილი ბევრი სხვა სპორტსმენი, რომლებიც ღირსეულ მაგალითს წარმოადგენენ მოზრდილ თაობისათვის.

საბჭოთა სპორტის დამახასიათებელი ნიშნანია მისი ინტერნაციონალურობა. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნების სპორტსმენებთან. საბჭოთა კავშირის ათლეტებს ამჟამად კავშირი აქვთ ყველა კონტინენტის 90-ზე მეტ ქვეყანასთან. აქტიურად ვითარდება ძმური კავშირი სოციალისტური ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციებთან, რაც ამჟამად ჩვენი ქვეყნის მთელი სპორტული ურთიერთობის 60 პროცენტს შეადგენს. უფრო მრავალფეროვანი გახდა ჩვენს მეგობრებთან კონტაქტების ფორმები: მწვრთნელების, სპეციალისტების, მეცნიერი თანამშრომლების, ჟურნალისტების გაცვლა.

მეგობრული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ორმხრივი შეთანხმება სპორტის დარგში მოქმედების კოორდინაციის საკითხებზე, რომელიც მომდინარე წლის მაისში ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. დიდი ყურადღება ეთმობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ქმნადობასა და განვითარებაში დახმარების გაწევას ყველაზე ახალგაზრდა სოციალისტური ქვეყნის — გერი ტიხოვთან. საბჭოთა ადამიანებმა ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეიტყეს, რომ შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს კუბელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მეორე საერთოგუნდური ადგილი დაიკავეს ცენტრალური ამერიკის და კარიბის ზღვის ახპარეზობაში პუერტო-რიკოში. კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ურთიერთობა აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სპორტსმენებთან.

საბჭოთა სპორტის წარმატებანი მოელ მსოფლიოს დამაჯერებლად უჩვენებენ სოციალისტური სისტემის, მისი ფიზიკური კულტურისა და სპორტის უპირატესობას. ხელს უწყობენ ჩვენი სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლებას.

საბჭოთა ათლეტების ოსტატობის ამაღლებამ, მათმა წარმატებებმა გამოსვლებმა სსრ კავშირის პირველობებზე, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ასპარეზობაზე შესამჩნევად გააძლიერა ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი ინტერესი საბჭოთა ადამიანებში და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობაში.

სსრ კავშირის სპორტულმა ორგანიზაციებმა შეადგინეს პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ აშენდეს 15 ათასი ახალი სტადიონი და კომპლექსური მოედანი, 13 ათასი სახპორტო-ხატანგარაჯიში დარბაზი, მათ შორის უნიკალური სახპორტო დარბაზები, მოსკოვში 40 ათასი მაყურებლისათვის და ლენინგრადში 25 ათასი მაყურებლისათვის, კომპლექსური სახსპორტო ბაზა ოლიმპიური გუნდების მოსამზადებლად ცახკაძორში, სამთო-სათხილამურო ბაზები ბაკურიანსა და კიროვაკაში, ხელოვნური საცეგურაო ბილიკები კოლომნასა და სხვა.

მომავალ წელს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს. ამ სახელოვან იუბილეს ეძღვნება სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა, რომელიც გადაიქცევა საბჭოთა სპორტის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად.

ჩვენს სპორტსმენებს ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ამ ისტორიულ თარიღს.

ახალგაზრდობა, სილამაზე. ფოტოტეტუდი ბ. ჩხეტიანისა.

ციფრები მეტყველებენ

□ საქართველოს სპორტსმენთა რიცხვმა, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ ასპარეზობებში, 950.000-ს მიაღწია. თუ ამას მივუმატებთ იმათ, რომლებიც საფაშო ვარჯიშს გადიან, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია რესპუბლიკის მოსახლეობის მეოთხედზე მეტი.

□ მარტო გასულ წელს საქართველოში მომზადდა 239 სპორტის ოსტატი და 3.374 პირველობანრიანი. 91 კაცს აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

□ რესპუბლიკაში მუშაობს სსრ კავშირის 48 დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს 139 დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის 14 მსაჯი, საკავშირო კატეგორიის 234 მსაჯი.

□ შარშან საქართველოს სპორტსმენებმა დაამყარეს 120 საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი, საკავშირო ასპარეზობებში მოიპოვეს 100 მედალი, აქედან ოქროსი — 38. ჩვენი რესპუბლიკის ორმოცამდე სპორტსმენი შეიძინა სსრ „კავშირის ნაკრებში.

ხელ-ეარჯველ სცენდეს ჩოგანსა...

ალექსანდრე მეტრეველმა დაამარცხა მანუელ სანტანა...

ისიც კი, ვინც სხვათა შორის მაინც აღეგნებს თვალს სპორტულ პრესას, შეამჩნევდა გაზეთების აღტაცებულ ან ამაკე დროს გაოცებულ ტონს. ამის მიზეზი კი ამ ორთაბრძოლის შედეგი იყო.

ვინ არის მანუელ სანტანა?

მისი ატესტაციისათვის ალბათ საკმარისი იქნებოდა გაგებსაგებინა ესპანელი სპორტსმენის გამარჯვება შემდლდონის საერთაშორისო ტურნირზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატზე.

და კიდევ ერთი.

...თქვენ ალბათ არ გინახავთ ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელის მანუელ სანტანას თამაში, იგი მართლაც რომ ვირტუოზია. მუხლმაგარი ესპანელის აზრიან თამაშს, უძლიერეს დარტყმებს და საოცარ ტექნიკას აღტაცებაში მოაყავს მაყურებელი". ეს სიტყვები ეკუთვნის რობერტ სუაბოს, საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, წარსულში სახელგანთქმულ სპორტმენს...

ეს იყო ტალინში, 1962 წელს.

ტარდებოდა ჩვენი ქვეყნის საზამთრო პირველობა.

ფინალში ესტონეთისა და საქართველოს გუნდები გავიდნენ.

ყველაფერს წყვეტდა ვაჟთა წყვილების დუელი. „ბადის ერთ მხარეს იდგნენ ნუგზარ მძინარაშვილი და ალექსანდრე მეტრეველი, მათ საპირისპიროდ — ლეიუს-პარმასის წყვილი.

თამაში დაიწყო და...

ჩვენი ბიჭების ქომაგები ეოტა არ იყოს გაოგეებულნი დავრჩით. მძინარაშვილი, რომ იტყვიან, „თავს იკლავდა", აუღებელ ბურთებს იღებდა. მისი კოლეგა კი...

მოგვეჩვენა, რომ მეტრეველი თავს არ იწუხებდა. საბოლოოდ ის მატჩი წაგვგეთ. შემდეგ გავარკვიეთ, მსაჯების არაობიექტურობით გაჯავრებულს ... ეაშში მთელი სული და გული არ ჩაუქსოვია. გვიწყინა.

იმ შეხვედრის შემდეგ ჩვენი ჩოგბურთელების ერთ-ერთმა მწვრთნელმა მეტრეველის მისამართით გულისტკივილით თქვა: განწყობის მოთამაშეა, თუ არ შეიცვალა, დიდი ჩოგბურთელი დაგვეკარგებაო.

კოლეგებმა დაამშვიდეს: გაიზრდება, დაღვიძებაო...

მაშინ ალექსანდრე მეტრეველი სკოლის მოსწავლე იყო. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამის შესახებ ჟურნალისტები და სპეციალისტები მოურიდებლად წერდნენ (სხვათა შორის იმ ხანად უწოდა ქართველ ჭაბუკს „რუსეთის ჩოგბურთის იმედი" ამშ ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ედუარდ ტურვილმა).

ალეკო ბევრს მოგზაურობდა. იგი თანატოლთა კერპი გახდა და, როგორც ჩანს, ყოველივე ამან ერთგვარად იმოქმედა ბიჭზე. ძნელია სახელის ტარება, ზოგიერთისათვის მძიმე ტვირთია ეს. ბევრი ვერ უძლებს ამ ტვირთს და სამუდამოდ იკარგება დიდი სპორტისათვის.

...გავიდა თითქმის სამი წელი.

ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდა სპორტსმენმა თავბრუდამხვევი სპორტული კარიერა გაიკეთა.

კენტის საგრაფოს (ინგლისი) ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (აქ ალეკომ პირველად ითამაშა ბალახიან კორტებზე და უძლიერესის სახელი მოიპოვა);

მეორე ადგილი უიმბლდონის ტურნირზე იუნიორთა შორის;

სენსაციური გამარჯვება კ. ფლეტჩერთან — დევისის თასის მფლობელ ავსტრალიის ნაკრების წევრთან, დასის ჩოგბურთელ ი. ულრიკთან, ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონ ი. მოზეთან.

უიმბლდონის ტურნირი მოზრდილთა მორაგ. ზედიზედ სამი გამარჯვება და მეოთხეფინალში გასვლის რეალური შესაძლებლობა (ამისათვის კი მანამდე არცერთ საბჭოთა ჩოგბურთელს არ მიუღწევია). და... სამხრეთ აფრიკის მთავრობის რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მან უარი განაცხადა შეხვედროდა ამ ქვეყნის ჩოგბურთელს ა. სეგალს...

ეს გამარჯვებები უკვე ბევრს ნიშნავდა.

ალეკო უკვე აღიარებულ იქნა ჩვენი ქვეყნის № 2 ჩოგბურთელად.

№ 1 წლების მანძილზე ოთმას ლეიუსი გახლდათ.

საინტერესო და დრამატული ეა ამ ორი სპორტსმენის ურთიერთობა. ცხოვრებაში ისინი კარგი მეგობრები არიან. კორტებზე კი... „ორივე კარგად რომ არ ვიცხობდე, ვიტყოდი, ერთმანეთს მტრები ეთამაშებიანო", — თქვა ერთმა პატივცემულ ჩოგბურთელმა და იქვე დასძინა: „აღტაცებული ვარ ამ „მტრობით", რომელსაც საბჭოთა ჩოგბურთი წინ მიაყვანს".

ლეიუსისა და მეტრეველის ოვითეული ორთაბრძოლა მოველინა თანამედროვე საბჭოთა ჩოგბურთში. იგი ყოველთვის აზრთა ცხარე გაცვლა-გამცვლას იწვევს. მართლაც, ბუნებით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ახალგაზრდებს თამაშში ბევრი რამ საერთო აქვთ. უკანასკნელ ხანებამდე მათი ყოველი შეხვედრა იყო დუელი, რომლის დროსაც ერთმანეთს ეჯახებოდა ერთი მხრივ ნებისყოფა, სიმტკიცე, აკადემიზმი, ხოლო მეორე მხრივ, — ანარტი, ტემპერამენტი, იმპროვიზაცია, საოცარი სილამაზე.

ფაქტი ფაქტად რჩება—წლების მანძილზე სასწორი ლეიუსის მხარეს იხრებოდა. ხანდახან მეტრეველიც იმარჯვებდა, მაგრამ არავის, მათ მორის ალეკოსაც, არ მოსვლია აზრად უარეყო ესტონელის პირველობა.

მაგრამ, ერთი წლის წინათ, სვეერდონეცკში მეტრეველმა ისე მოუგო თავის ძირითად მეტოქეს, რომ № 1 ჩოგბურთელის პოზიციები საკმაოდ შეირყა...

სპორტული პრესა ყოველივე ეწერილმანს გვაწვდის სპორტსმენის თამაშზე. მაგრამ ხშირად სპორტული შედეგები ფარავენ სპორტსმენის ხასიათს, მის მინაგან სამყაროს. თითქმის ასევე მოსდა ალექსანდრე მეტრეველის მიმართაც. ჩვენ ყველაფერი ვიცოდით მის, როგორც ჩოგბურთელის, შესახებ, დანარჩენი კი...

„შეიცვალა თუ არა?" — ამ ფიქრებით შევდიოდით შარშან აგვისტოს მცხუნვარე დღეს ლუჟნიკის კორტებზე, სადაც მიმდინარეობდა ჩოგბურთელთა მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

...თამაში დაწყებული იყო. მაყურებლები არ ერიდებოდნენ არც გულიანად სიცილს, არც აღტაცებულ შეძახილებს და არც მკუხარე ტაშს. მეტრეველმა ისეთი დღე აყარა დონალდ დელს, რომ მას ალბათ არასდროს დავიწყდება ანგარიში 3:0. ამ გამარჯვებით თბილისელმა რეკანში აიღო სამი წლის წინათ ამაგე შეჯიბრებაზე დამარცხებისათვის.

მაშინ გაზეთები წერდნენ, მეტრეველმა ამერიკის მეოთხე ჩოგბურთელს ღირსეული მეტოქეობა გაუწია. ახლა კი... რას ეზამ, დრო იცვლება.

...ნახევარფინალურმა შეხვედრამ მეტრეველსა და ფოქსს (აშშ) შორის აუარებელი მაყურებელი მოიზიდა. არც კი გვეგონა, თუ გულშემატკივრები ამ შეხვედრაზე დასწრებას ამჯობინებდნენ სსრ კავშირის თასზე მოსკოვის „სპარტაკისა" და მინსკის „დინამოს" ფინალური მატჩის ხილვას.

ჭვიმამ თავისი კორექტივები შეიტანა ჩოგბურთელთა გეგმებში: სამჯერ შეწყდა მატჩი. სამჯერ გადაიტანეს სხვადასხვა მოედნებზე შეხვედრა, მაგრამ თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ბოლოს ფოქსმა ხელი ჩაიქნია და პირველმა მიულოცა მეტოქეს ბრწყინვალე გამარჯვება.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ ვინ გახდებოდა ტურნირის პირველი ჩოგბურთელი, ამერიკელმა მოკლედ მოსჭრა: მეტრეველი!

ეს ასეც მოხდა. ფინალურ მატჩში მეტრეველმა „წამოაჩოჩა" ტრადიციული მეტოქე თომას ლეიუსი. 20 წლის ქართველი ჭაბუკი, პირველი საბჭოთა ჩოგბურთელებს შორის, ავიდა ამ დიდი შეჯიბრების გამარჯვეულის კვარცხლბეკზე.

და მაინც ჩვენთვის აღმოჩენა გასულდათ არა ალეკოს ჩემპიონობა, არამედ ის თვისებები, რომლებიც მან ამ ტურნირზე გამოამეღავნა. ჩოგბურთს რაინდი თამაშობდა და რომ იცოდეთ, როგორ არ ქცავდა იგი სამი წლის წინანდელ მეტოქეებელს. მაჭარი დადუდდა. და ეს მით უფრო სასიხარულია, რომ ზოგიერთს სამი კი არა, ათი წელიც არ ჰყოფნის „დასადუღებლად"...

როცა ალექსანდრე მეტრეველზე საუბლობენ და გულშემატკივრები საუბრობენ, ხშირად გაიგონებთ ორ სიტყვას: სილამაზისა და მონდომებას. იგი ჩოგბურთს ისევე ლამაზად თამაშობს, როგორც ფეხბურთს თუდდაც მიმა მესხი, კალათბურთს — ლევან მოსეშვილი...

ახა ნახეთ ალეკო ბურთის მოწოდებისას...

ნახეთ ბადესთან თამაშისას...

ბურთის მოგერიებისას...

ნახეთ, და აუცილებლად დამეთანხმებით, თქვენც აღიარებთ, რომ მეტრეველი მართლაც ლამაზად თამაშობს.

ჩოგბურთელთა წრეში ხშირად ლაპარაკობენ ლეგენდარული ემერსონის შრომისმოყვარეობაზე. ჩემთვის ეს შედარება ძნელია, მაგრამ, ვფიქრობ, მეტრეველის შრომისმოყვარეობაც მისაბაძი უნდა იყოს. არცთუ იშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ თბილისში ორი საათის წინ ჩამოსული ალეკო მეგობრებს კორტზე ვარჯიშის დროს ძლივს უპოვნიათ.

ჩოგბურთელსა და მის აღმზრდელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. ხანგულიანს ახასიათებთ შესანიშნავი თვისება — სიახლისადმი სწრაფვა. ეს კარგად ჩანს ახლაც, როცა ალექსანდრე მეტრეველი სახელმოხვეჭილი სპორტსმენია. საკმარისია რომელიმე მოწინააღმდეგეს შეინიშნოს რაიმე ახალი „იარაღი", რომ მწვრთნელი და მეგობარდი დაყოვნებლივ ეწყდნენ მის შესწავლას, ათვისებას. და თუ საჭიროა საკუთარი, უკვე მოძველებული სათამაშო არსენალის უარყოფა, მეტრეველი ამ „მხვერპლსაც" გაიღებს, თუმცა ძნელი კია შეჩვეულის დავიწყება. მიუხედავად ამისა, თამაშის საკუთარი სტილი, „მეტრეველისეული ხელწერა" მაინც რჩება, ცოცხლობს და აღტაცებაში მოაყავს მაყურებელი.

კიდევ რა შეიძლება ამ მოკლე წერილში გიამბოთ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ალექსანდრე მეტრეველზე?

ამჟამად იგი თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მეექვსე კურსის სტუდენტია. მასწავლებლებსა და თანაკურსელებს უყვართ ნიჭიერი ჭაბუკი. სწავლობს კარგად.

სპორტში ჩვეულებრივ მოვიდა. როგორც ბევრი მისი თანატოლი, ისიც ოცნებობდა ფეხბურთზე. მაგრამ თბილისის 43-ე სკოლაში ყველა კალათბურთს თამაშობდა, და ალეკო სკოლის ნაკრების სული და გული გახდა. მერე ჩოგბურთმა გადასძლია... თუმცა პირველ სიყვარულს არც ახლა ღალატობს. ამას წინათ, შეეცალა ქალაქ ბოსტადში გამართული „სკანდინავიის ღია ჩემპიონატის" მაყურებლები სპინტერესო მატჩის მოწმენი გახდნენ. „ინტერნაციონალს" (ჩოგბურთის უცხოელი ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდი) ეთამაშებოდა შეეცალი ჩოგბურთელთა საფეხბურთო ნაკრებს. მიუხედავად „ინტერის" დამარცხებისა, მეორე დღეს გაზეთები ხუმრობით წერდნენ, ფეხბურთის ჰორიზონტზე „გაჩენილა" ერთი მეტრეველი, რომელმაც მასაბიძელთა კარში ორი ლამაზი ბურთი გიტანა...

ახლახან, სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა შეადგინეს ჩოგბურთელთა მსოფლიოს სიაკეთესო ათეული. 21 წლის ქართველი ჩოგბურთელი ამ სიაში მერვე ნომრად იჭრა დასახელებული.

ეს წერილი რობერ სუაბოს შარშანდელი ინტერვიუთ დავიწყეთ და ამითვე ვგრძნობ დავამთავროთ.

— საკვირველია, რატომ არ არის მეტრეველი თქვენი ქვეყნის ჩემპიონი? მართალია, ლეიუსი ყოველთვის კარგად თამაშობს, მაგრამ იგი თითქოს ერთ ადგილზე გაეყინა. მეტრეველი კი სწრაფად იზრდება. უკვე დროა...

...მართლაც, უკვე დროა.

ნუგზარ ფოფხაძე.

• • •

სურათებზე: მარცხნივ, ეს სურათი, რომელიც შვიდური გაზეთიდან ალიაა გადმობეჭდილი, ასახავს სანტანაციის ლიგა ჩემპიონატში ა. მეტრეველისა და მ. სანტანას ფრენალური ოთხბრძოლის ფრაგმენტს. ქართველი ჭაბუკის კიდევ ერთი შეტევა და... უიმბლდონის ტროფიმფატონი მიწაზეა გართხმული. ზემოთ — ა. მეტრეველი.

ქუდა მაინც დაიკარგა

თბილისის დინამოელებს 11 აგვისტოს მორიგი მატჩი ლენინგრადში ჰქონდათ „ზენიტთან". შეხვედრა წვიმაში მიმდინარეობდა, მაგრამ მეტოქეებმა ტემპიანი ბრძოლა აჩვენეს.

ამჯერად მსოფლიო ჩემპიონატის მოწაწილეებიდან თბილისელთა რიგებში მხოლოდ ხუროცილავა იყო. რატომ არ ითამაშეს მეტრეველმა და ბ. სიჭინავამ? გუნდს სწორედ ახლა, როდესაც ასეთ წარუმატებლობას განიცდის, სჭირდება ამხანაგების გვერდში ამოდგომა.

ანგარიში 34-ე წუთზე სტუმრებმა გახსნეს. გოლის ავტორი იყო მარჯვენა გარემარბი დათუნაშვილი. მალე მასილი. ეშმა წონასწორობა ალადგინა. ტაიმი დამთავრდა 1:1.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე მესხმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1, 59-ე

მატჩები და შეხვედრები

გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

გათამაშების ლიდერი კიევის „დინამო" კუნძულზეს ეწკა და აქ პაექრობა ჰქონდა „კოლია სოვეტოვთან", მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

ერევანში თამაშობდნენ ადგილობრივი „არარატისა" და მოსკოვის „დინამოს" გუნდები. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდება დედაქალაქის ორი გუნდი — „სპარტაკი" და „ტორპედო".

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი
მდგომარეობა 18 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კ.)	20	14	6	0	43-6	34
„სპარტაკი" (მ.)	19	11	6	2	31-17	28
ცსკა	19	10	6	3	43-26	26
„პახტაკორი" (ტ.)	19	7	11	1	19-12	25
სკა (როსტ.)	19	12	1	6	32-29	25
„ტორპედო" (მ.)	20	8	7	5	32-22	23
„დინამო" (მ)	20	8	5	7	28-22	21
„ნეფტიანიკი" (ბ.)	19	7	5	7	25-17	19
„დინამო" (თბ.)	20	6	7	7	20-20	19
„ყირაღი" (ალმ.)	18	8	3	7	19-20	19
„ზენიტი" (ლ.)	20	7	4	9	25-33	18
„დინამო" (მნ.)	19	5	7	7	19-24	17
„შახტიორი" (დ.)	19	7	3	9	17-23	17
„ჩერნომორ". (ო.)	20	4	8	8	19-26	16
„არარატი" (ერ.)	20	5	6	9	15-29	16
„ტორპედო" (ქ.)	19	6	3	10	27-36	15
„კრ. სოვ." (კუი.)	19	2	8	9	13-29	12
„ლოკომოტი." (მ.)	18	4	1	13	15-29	9
სკა (ო.)	19	1	5	13	11-38	7

PLATT FALL FÖR SANTANA

ბ. კორჩუგანოვა — აბსოლუტური ჩემპიონი

მოსკოვში, ტუშინოს ცაზე. მოტორების გუგუნი არ წყდება, მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. წარმატებით გამოდიან საბჭოთა მფრინავები, რომლებიც გვიჩვენებენ მაღალ ოსტატობას.

პაექრობა დაამთავრეს ქალებმა. გუშინ გამოვლინდა აბსოლუტური ჩემპიონი. ეს ტიტული მოიპოვა საბჭოთა მფრინავმა ქალმა ბ. კორჩუგანოვამ. გუნდურ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებმა ს. ნესტეროვის სახელობის თასი მოიპოვეს.

გუშინ შეჯიბრებაში ჩაებნენ უძლიერესები. ფინალში აბსოლუტური პირველობისათვის იბრძოდა 18 კაცი, შათ შორის სსრ კავშირის 5 წარმომადგენელი ვ. მარტემიანოვის მეთაურობით, რომელიც ლიდერობას ინარჩუნებს.

სსრ კავშირი—საფრანგეთი

მოსკოვში ორ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ასპარეზობა ვეროსპორტში სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდებს შორის.

პირველი დღის პაექრობაში ჯერ წინ იყვნენ ფრანგები, მაგრამ გუნდურმა რბოლამ 4 კილომეტრზე დადებებით ჩვენს სპორტსმენებს წარმატება მოუტანა. ისინი დაწინაურდნენ 7:5. მეორე დღეს ფრანგებმა ნაწილობრივ გამოსწორეს მდგომარეობა, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ დააღწიეს თავი.

როგორც მსოფლიოს ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ აღნიშნა, ფრანგები მომავალი პირველობის პრეტენდენტები არიან. მათთან გამარჯვება მოწმობს ჩვენი ველობრბოლების კარგ მომზადებას.

გუშინ მოსკოვში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი სალიდერო რბოლაში. მონაწილეობს 28 წყვილი.

სანტა-მონიკას ტურნირზე

ჭადრაკი

მგ-14 ტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა. ბ. სპასკი და ლ. პორტიში (უნგრეთი) ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი შეხვედრები დაუმთავრებელი დარჩა.

გადადებული პარტიების დამთავრებამ საბოლოოდ ცხრილში სიცხადე შეიტანა. ლ. პორტიშ-ს, რშშმსკის (ამერიკის შეერთებული შტატები) მე-13 ტურის გადადებულ პარტიაში მეტოქეები ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

მე-14 ტურის გადადებულ პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა დაამარცხა ი. დონერი (ჰოლანდია). ს. რშშევსკი-ბ. ივკოვისა (იუგოსლავია) და მ. ნაიდორფ-ბ. ლარსენის პარტიებში აღინიშნა ყაიმები. რ. ფიშერს წასაგები პოზიცია ჰქონდა ვ. უნციკერთან პარტიაში. მაგრამ ყაიმს მიაღწია.

მომდევნო ორ ტურში რ. ფიშერმა ორი გამარჯვება იზეიმა. მან დაამარცხა ბ. ლარსენი და ნ. ნაიდორფი. ბ. სპასკი კი ორივე პარტიაში მ. ნაიდორფთან და ბ. ივკოვთან ყაიმს დასჯერდა.

ამრიგად, რ. ფიშერი დაეწია ლიდერს — ბ. სპასკს. 16 ტურის შემდეგ თვითეულ მათგანს 10 ქულა აქვს.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

თბილისსა და გათუმი

11 აგვისტოს შედგა „ა" კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში.

თბილისში ადგილობრივი „ლოკომოტივი" და გომელის „სპარტაკის" გუნდების მატჩში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ბათუმში თამაშობდნენ ვილნიუსის „ქალგირისი" და ბათუმის „დინამო". აქაც მატჩის შედეგი ფრე 1:1.

ცსკა-ს დამარცხება

11 აგვისტოს ტაშკენტში გაიმართა მეექვსე ანტიფაშისტური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ტაშკენტის „პახტაკორის" გუნდები. ტაშკენტელებმა — იბრაგიმოვმა და კრასნიცკიმ თითო ბურთი გიტანეს და გამარჯვეს ანგარიშით 2:0.

კომუნისტი

ბაგირსაგზაბა ბიჭვინთიდან

ბაგირსაგზა ბიჭვინთიდან (ფოტოტეტუდი).

გასულ დეკემბერში ბაზრობის დროს ... ბიჭვინთაში — ... „ტაშკენტში" განაცხადეს, რომ მათ შორის ყველაზე ძლიერი — ოთხი ბალი — „ალინაშმა" დღეს ადგილობრივი დროით 3 საათსა და 33 წუთზე. ორი ბიძგი იყო სამი ბალის სიძლიერის. დანარჩენები მხოლოდ სპეციალურმა ხელსაწყოებმა აღნიშნეს. ეპიცენტრი წინადადელია — ჭალაქის საზღვრები.

„ბასულ თვეში" (თერთმეტი ივლისიდან) სადგურმა აღნიშნა სამოცზე მეტი მიწისძვრა. ბიძგი მაგრამ მათი ძალა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ნიადაგის რყევის ძალას, რომელიც 11 ივლისამდე ხდებოდა. სპეციალისტები ამას ხსნიან იმით, რომ მიწისძვრის კერამ აიწია და მდებარეობს დედამიწის ზედაპირიდან 2,5-3 კილომეტრზე და ამიტომ მნიშვნელოვნად ნაკლებ ენერგიას გამოყოფს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

13 აგვისტო

16.35 — „ბავშვთა ფილმები". 16.40 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ტურნირი „მეოცნელი". 17.20 — „ახალი ამოცანები ფიზიკაში". — ინტერვიუ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ ... (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.45 — „ფიზკულტურელის დღე". 20.35 — კინონარკვევი. 20.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან). 21.15 — „ბერიკი ლენინიდან". 22.00 — მხატვრული ფილმი „ჯოლანის ფარი". 23.20 — ახალი ამბები (ქართულ და „რუსულ ენებზე).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 15 ს. 20 წ.

14 აგვისტო

11.00 — ნახატი ფილმები. 11.30 — მხატვრული ფილმი. 16.55 — გადაცემათა პროგრამა. 17.00 — გადაცემა საბჭოთა კავ